



“ვემზადებით სკოლისთვის”

გზამკვლევი მშობლებს სკოლაში ბავშვის
ლალი და წარმატებული ტრანზიციისთვის



გზამკვლევის ავტორი ორგანიზაცია
„ინოვაციები ინტელექტუალური საზოგადოებისთვის“

გზამკვლევის მიზანი

წარმოდგენილი გზამკვლევის მიზანია მშობლებისთვის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, მათი მხარდაჭერა ბავშვის სათანადო მომზადებაში, რათა ტრანზიციის პროცესი სასიამოვნო და ნაკლებ სტრესული აღმოჩნდეს როგორც ბავშვისთვის, ისე მისი მშობლისთვის.

გზამკვლევის შინაარსი

- ტრანზიციის არსი და მისი ძირითადი პრინციპები;
- რას გრძნობს მშობელი სკოლის დაწყების წინ?
- როგორ ემზადება მშობელი ბავშვის სკოლაში წასაყვანად?
- ზრუნვა ბავშვის სასკოლო მზაობის ფორმირებაზე;
- როგორ ამზადებს მშობელი ბავშვს სკოლისთვის?
- სკოლის მზაობა ბავშვის მისაღებად;
- მშობლის ლეგიტიმური მოლოდინი სკოლის მიმართ;
- რა ნაბიჯები უნდა გადადგას მშობელმა ტრანზიციამდე?
- როდის უნდა დაიწყოს მშობელმა ბავშვის სკოლაში ტრანზიციისთვის ზრუნვა?
- როდის ითვლება ტრანზიციის პროცესი დასრულებულად?
- მშობლის მხარდაჭერა ტრანზიციის ინიცირების და განხორციელების პროცესში;
- სივრცე ჩანაწერებისთვის.

გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მხარდაჭერით ორგანიზაციის მიერ
„ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“
ავტორი: მარიამ ხვადაგიანი, ნეიროფსიქოლოგი

გზამკვლევი შემუშავებულია „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „ტრანზიციის პრაქტიკის მდგრადი ინტეგრირება ადრეული და დაწყებითი განათლების სისტემაში - III ფაზა“.

ავტორის მიერ გზამკვლევაში ასახული ინფორმაცია შესაძლოა არ გამოხატავდეს „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The Guide is developed by within the frames of the project “Integrated Sustainable Transition Practices for Early and Primary Inclusive Education (III Phase).

The views, opinions and statements expressed by the authors are theirs only and do not necessarily reflect the position of the Foundation. Therefore, the Open Society Foundation - Georgia is not responsible for the content of the information material.



ტრანზიცია


სკოლაში ტრანზიციის პოზიტიური გამოცდილება ბავშვების მომავალი სოციალური, ემოციური და საგანმანათლებლო წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.

ტრანზიციის არსი და მისი ძირითადი პრინციპები

ნებისმიერი ადამიანისთვის გამოწვევაა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე არსებული მნიშვნელოვანი ცვლილება. ბავშვობის ასაკში რამდენიმე გარდამტეხი ეტაპი და მოვლენა არსებობს და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სწორედ სკოლაში წასვლა - ტრანზიცია.

იმისათვის, რომ ბავშვის სკოლაში გადასვლა უმტკივნეულოდ განხორციელდეს, რამდენიმე ძირითადი პრინციპია დასაცავი:

- ✓ ბავშვი უნდა იყოს მთავარი რგოლი, რომლის ინდივიდუალურ საჭიროებებსაც ერგება ყველა;
- ✓ მშობელს, სკოლას და ბაღს შორის (თუკი ბავშვი სკოლაში ბაღიდან გადაინაცვლებს) უნდა დამყარდეს პოზიტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა;
- ✓ თითოეულმა რგოლმა უნდა გადაინაწილოს პასუხისმგებლობა და შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;
- ✓ ბავშვი უნდა იღებდეს საჭირო მხარდაჭერას და პოზიტიურ გამოცდილებას.



წარმატებული ტრანზიცია

წარმატებული ტრანზიცია ბავშვზე ორიენტირებული პროცესია, რომელშიც ჩართულია ყველა რგოლი: ოჯახი, ბაღი, სკოლა.

რას გრძნობს მშობელი სკოლის დაწყების წინ?

კვლევები ადასტურებს, რომ ხშირად მშობლები შფოთავენ სასწავლო პროცესის დაწყების წინ. მათი წუხილი ძირითადად შემდეგ საკითხებთანაა დაკავშირებული:

- » როგორ გაუმკლავდება ბავშვი ახალ მოთხოვნებს, გარემოს, ადამიანებს.
- » იქნება თუ არა ბავშვისთვის სკოლა სასიამოვნო პროცესი და ექნება თუ არა მას სკოლაში სიარულის მოტივაცია;
- » ვინ იქნება სკოლაში ბავშვის მხარდამჭერი და რამდენად ეფექტური იქნება არსებული მხარდაჭერა;
- » როგორ დაამყარებს ბავშვი კომუნიკაციას თანატოლებთან და რამდენად მოხდება მისი ინტეგრირება კლასთან;
- » როგორ იგრძნობს ბავშვი თავს სასწავლო პროცესის მსვლელობის დროს;
- » რამდენად შეძლებს ბავშვი მიწოდებული მასალის ათვისებას;
- » რამდენად შეძლებს ბავშვი სკოლის გარემოში დამოუკიდებლად ფუნქციონირებას (მაგ. ტუალეტის გამოყენებას) და სკოლასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რუტინის მიყოლას.



აღნიშნული შფოთვა განსაკუთრებით მძაფრდება, თუ საქმე ეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შემზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს. მშობლის განცდები უკავშირდება შემდეგ საკითხებს:

- ? რამდენად უსაფრთხოა სკოლის გარემო ბავშვისთვის?
- ? რამდენად დაცულად იგრძნობს ბავშვი თავს სკოლაში?
- ? რამდენად გაუმკლავდება მასწავლებელი ბავშვის განსაკუთრებულ საჭიროებებს სწავლებისა და კომუნიკაციის პროცესში?
- ? როგორ მართავს მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში ბავშვის ქცევას, მოტივაციას, ყურადღებას ?
- ? რა მოხდება, თუ ბავშვს შეექმნება სირთულეები სასწავლო პროგრამის დაძლევისას?
- ? მიიღებს თუ არა ბავშვი საჭირო მხარდაჭერას? როგორი იქნება ეს მხარდაჭერა?
- ? როგორ ურთიერთობას დაამყარებს ბავშვი თანაკლასელებთან? რამდენად დაეხმარებიან მას ამ პროცესში?
- ? როგორ ითანამშრომლებენ სკოლის ადმინისტრაცია და დამრიგებელი მშობელთან?

მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლაში ტრანზიციით გამოწვეული მშობლის შფოთვა და შიში მინიმუმამდე შემცირდეს. გასათვალისწინებელია, რომ ხშირად მშობლის ემოციური მდგომარეობა პირდაპირ აისახება ბავშვზე - თუ მშობელი შფოთავს და დაძაბულია (რადგან ახლოვდება ბავშვის სკოლაში გადანაცვლების ეტაპი), დიდი ალბათობით მსგავსი იქნება ბავშვის დამოკიდებულება და მოლოდინიც სკოლის მიმართ.

მშობლის შფოთვა შემცირდება, თუ გაიზრდება მისი ინფორმირებულობა სკოლის გარემოს შესახებ: ის დაამყარებს კონტაქტს სკოლასთან, გაიცნობს იმ პრაქტიკოსებს, რომლებიც ჩაერთვებიან ბავშვის განათლების პროცესში, დამრიგებელსა და მხარდამჭერ სპეციალისტებთან ერთად დაგეგმავს ბავშვის სკოლაში გადანაცვლების პროცესს.

როგორ ემზადება მშობელი ბავშვის სკოლაში წასვლისთვის



» ეცნობა სკოლის გარემოს, სადაც ბავშვი მიდის;

» წინასწარ გაიცნობს ბავშვის დამრიგებელს, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ფსიქოლოგს, სპეციალურ მასწავლებელს;

» გადასცემს სკოლის წარმომადგენლებს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, თავისებურებების და საჭიროებების შესახებ;

» სკოლის წარმომადგენლებისგან იღებს ინფორმაციას, თუ რა მხარდაჭერას უზრუნველყოფენ ისინი ბავშვისთვის, რამდენად და როგორ შეძლებენ გაითვალისწინონ ბავშვის საჭიროებები, მთარგმნე გარემო და სასწავლო პროცესი მას;

» საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს აცნობს ბავშვის დამრიგებელს და იმ სპეციალისტებს, რომელთაც აქვთ ბავშვთან ურთიერთობის, სწავლების გამოცდილება;

» მომავალ მასწავლებლებსა და სპეციალისტებთან ერთად განიხილავს და გეგმავს ბავშვის სკოლაში ტრანზიციის პროცესს;

» თუ ბავშვის კომუნიკაციის ფორმა არ არის მეტყველება და ის მიმართავს კომუნიკაციის ალტერნატიულ ფორმებს, სასურველია, მშობელმა ეს ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის პერსონალს, რათა საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა მიიღოს სათანადო კონსულტაცია. მასწავლებელს კონსულტაცია შესაძლებელია გაუწიოს თავად მშობელმა და / ან იმ სპეციალისტმა, რომელიც ბავშვთან მუშაობდა.


წარმატებულ ტრანზიციას სკოლაში განაპირობებს ბავშვის მზაობა სკოლის მიმართ და სკოლის მზაობა ბავშვის მიმართ



ბავშვის მზაობა
სკოლის მიმართ



სკოლის მზაობა
ბავშვის მიმართ



სკოლაში
წარმატებული
ტრანზიკცია

ბრუნვა ბავშვის სასკოლო მზაობის ფორმირებაზე

- ✓ ბავშვის სასკოლო მზაობის ფორმირებას მხარდაჭერა სჭირდება;
- ✓ მშობლის როლი გადამწყვეტია ბავშვის სასკოლო მზაობის ფორმირების პროცესში;
- ✓ დაუშვებელია ბავშვის გადანაცვლება სკოლის გარემოში მისი წინასწარ მომზადების გარეშე.



ტრადიციულად სასკოლო მზაობა განიხილებოდა, როგორც აკადემიური და შემეცნებითი უნარების სიმწიფე. შესაბამისად, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა სკოლის მიმართ ბავშვის ფსიქო-ემოციური მზაობის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, სასკოლო მზაობის ფორმირებისთვის, თუკი მშობელი მხოლოდ ბავშვის აკადემიური უნარების განვითარებაზე იზრუნებს, დიდია ალბათობა იმისა, რომ ბავშვი ემოციურად არასაკმარისად მომზადებული აღმოჩნდეს სკოლისთვის.



თანამედროვე მიდგომით, სასკოლო ცხოვრების მიმართ ბავშვის მზაობის ინდიკატორად სკოლისადმი მისი დამოკიდებულება და ავტონომიურობა განიხილება. ავტონომიურობაში იგულისხმება ბავშვის შესაძლებლობა, დარჩეს მართო, გამოხატოს დამოკიდებულება, დაამყაროს კომუნიკაცია, გააკეთოს არჩევანი, ითხოვოს დახმარება, გამოიჩინოს ინტერესი, ავლენდეს გარემოს შემეცნების ინიციატივას და ა.შ.

მშობლის ამოცანაა, ბავშვი სწორედ ფსიქო-ემოციურად მოამზადოს სკოლისათვის, შეუმციროს მას სიახლის და უცხო გარემოს მოლოდინით გამოწვეული შფოთვა და შეუქმნას ცხადი წარმოდგენა იმ გარემოზე, რომელშიც მოუწევს თანაარსებობა. ამავდროულად, მაქსიმალურად განუვითაროს ბავშვს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას ახალ გარემოში ფუნქციონირებისთვის დასჭირდება.

მშობელმა სკოლაში ბავშვის ტრანზიკციაზე ბრუნვა და ცხოვრების ახალი მნიშვნელოვანი ეტაპისთვის მზადება შეძლებისდაგვარად ადრე უნდა დაიწყოს.

როგორ ამზადებს მშობელი ბავშვს სკოლისთვის

დაუსვით ბავშვს შევითხვები სკოლის შესახებ, გაარკვიეთ, თუ რა მოლოდინი აქვს მას;

მოუყევით თქვენი პოზიტიური გამოცდილება სკოლის შესახებ. ეცადეთ, რომ ის ინფორმაცია, რომელსაც ბავშვს აწვდით, იყოს რეალობასთან მიახლოებული, რათა მას სწორი წარმოდგენა შეექმნას და არ განიცადოს იმედგაცრუება რეალობასთან შეხვედრის დროს;

გააცანით ბავშვს სკოლის ფიზიკური გარემო, მიეცით მას საშუალება შეისწავლოს სივრცე, რომელშიც მომდევნო 12 წელი უნდა გაატაროს;

გააცანით სწავლის დაწყებამდე მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი და ა.შ.

გააცანით ბავშვს მომავალი კლასელები, დაგეგმეთ შეხვედრა მათთან და ჩართეთ ისინი ერთობლივ სახალისო აქტივობებში. 2-3 ბავშვის გაცნობა სრულიად საკმარისია, რათა ბავშვს მეტად გაუჩნდეს კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდა;

წაახალისეთ ბავშვის ცნობისმოყვარეობა და სამყაროს შესწავლის უნარები, მიეცით საშუალება იკვლიოს, ხელი მოკიდოს, ექსპერიმენტებს მიმართოს;

მხარი დაუჭირეთ ბავშვის დამოუკიდებელი უნარების განვითარებას, იქნება ეს თვითმოვლა, გადაწყვეტილების მიღება თუ პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრა;

ხელი შეუწყვეთ კომუნიკაციური უნარების განვითარებას. თუბავშვიკომუნიკაციასამყარებსალტერნატიულიფორმით, ეცადეთ მაქსიმალურად უზრუნველყოთ იმ ლექსიკური მარაგით, რომელიც შეიძლება გამოიყენოს სკოლის გარემოში მასწავლებელსა თუ თანაკლასელებთან;



როგორ ამზადებს მშობელი ბავშვს სკოლისთვის

იკითხეთ შვილთან ერთად, რათა წიგნთან გატარებული დრო მისთვის სასიამოვნოდ აღიქმებოდეს;

ხელი შეუწყვეთ წინასასკოლო აკადემიური უნარების განმავითარებელ აქტივობებში მის ჩართულობას, როგორიცაა ხატვა, ძერწვა, თვლა, გაფერადება, მოსმენა და ა.შ.



ხელი შეუწყვეთ ბავშვის სოციალური ინტერაქციის უნარების განვითარებას, ასწავლეთ რიგის დაცვა, გაზიარება, სხვისი პოზიციის გათვალისწინება, საკუთარი პოზიციის გამოხატვა და ა.შ.

ითამაშეთ სამაგიდო თამაშები მცირე ჯგუფებში. აღნიშნული ხელს შეუწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა წესების და რიგის დაცვა, ყურადღების კონცენტრაცია, სასურველის მიღწევის დროში გადავადება. სამაგიდო თამაშები იძლევა საუკეთესო საშუალებას, დაეხმაროთ ბავშვს წარუმატებლობით გამოწვეული ემოციების მართვასა და მოგებით მიღებული სიამოვნების გამოხატვაში;



აუცილებლად გახსოვდეთ, რომ ბავშვისთვის სკოლა დაკავშირებულია რიც ცვლილებებთან და სიახლეებთან (მაგ.: დღის რუტინა, ბევრი ახალი ადამიანი, სტრუქტურირებული გარემო, განსხვავებული აქტივობები, გაზრდილი მოთხოვნები და ა.შ.), რომლებთან შესაგუებლადაც ბავშვს დრო და თქვენი მხარდაჭერა სჭირდება.



სკოლის მზაობა ბავშვის მიმართ

ბავშვს აქვს უფლება, სწავლა დაიწყოს მის საჭიროებებზე მორგებულ, ბარიერებისგან თავისუფალ გარემოში, მიიღოს მხარდამჭერი სერვისები და ჩაერთოს მასზე მორგებულ სასწავლო პროცესში;



სკოლაში წარმატებული ტრანზიცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სკოლის მზაობაზე;



სკოლას აქვს ვალდებულება, მოემზადოს ბავშვის მისაღებად და მნიშვნელოვანია, რომ მან ეს პროცესი დროულად დაიწყოს;



სკოლას აქვს ვალდებულება, ბავშვისთვის მოსამზადებლად გამოიყენოს სკოლაში ადრეული რეგისტრაციის პროცედურა და მის განკარგულებაში არსებული პერიოდი გაზაფხულიდან შემოდგომამდე, გააანალიზოს დარეგისტრირებული ბავშვების საჭიროებები, მშობელთა უპირატესი სურვილები და დროულად წამოიწყოს ბავშვის სკოლაში ტრანზიციის მხარდამჭერი პროცედურები.

სკოლაში ადრეული რეგისტრაციის დანიშნულებაა:



სკოლამ დროულად მოახდინოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიცირება და გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება სკოლის გარემოში მათ მისაღებად.



მშობელი არ შეიზღუდოს სკოლასთან დაკავშირებით არჩევანის გაცემებისას და სხვებთან კონკურენციის გარეშე შეძლოს ბავშვის იმ გარემოში დარეგისტრირება, რომელზეც შეაჩერა არჩევანი.



მშობლის ლეგიტიმური მოლოდინები სკოლის მიმართ

სკოლამ დროულად განსაზღვროს პირველკლასელთა დამრიგებლები და ორგანიზება გაუწიოს დამრიგებელთა ჯგუფურ და / ან ინდივიდუალურ შეხვედრებს მშობლებთან;

სასწავლო პროცესის დაწყებამდე დამრიგებელმა პირადად გაიცნოს ბავშვი;

სკოლის ადმინისტრაცია სიღრმისეულად გაეცნოს ბავშვის საჭიროებებს და მოახდინოს მათზე რეაგირება;

საჭიროების შემთხვევაში სკოლამ წამოიწყოს შესაბამისი პროცედურები დამატებითი სპეციალისტების (სპეცმასწავლებელი, მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტი) აყვანის მიზნით;

სკოლამ იზრუნოს მასწავლებელთა კომპეტენციის ზრდისთვის, თუკი ამის საჭიროება გამოვლინდა;

მშობელი გახადოს თანამონაწილედ მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტის შერჩევის პროცესში;

სკოლამ აქტიურად ითანამშრომლოს იმ სპეციალისტებთან, რომლებიც საუკეთესოდ იცნობენ ბავშვს და ფლობენ ღირებულ ინფორმაციას მის შესახებ, იგულისხმება აღმზრდელი, აღრეული განვითარების სპეციალისტი და სხვ;

სკოლამ წამოიწყოს შესაბამისი პროცედურები სკოლის ფიზიკური გარემოს ადაპტირების მიზნით (მაგ., პანდუსის მონტაჟი, სველი წერტილის ადაპტირება);

სკოლამ შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ბავშვისთვის და გახადოს მშობელი პროცესის აქტიური მონაწილე.



რა ნაბიჯები უნდა განახორციელოს მშობელმა ბავშვის სკოლაში ჩართვამდე?

1

დროულად განსაზღვროს ის მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სკოლა

საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციისთვის მიმართოს აღმზრდელს, განვითარების სპეციალისტს ან ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრს

2

შეარჩიოს შესაბამისი სკოლა

საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს საორიენტაციო ვიზიტები რამდენიმე სკოლაში, გაეცნოს მათ ინფრასტრუქტურას, გაესაუბროს სკოლის ადმინისტრაციას ან გაიცნოს სკოლები მათი ელექტრონული გვერდების საშუალებით

3

ადრეული რეგისტრაციის პერიოდში დაარეგისტრიროს ბავშვი შერჩეულ სკოლაში

შესაბამის ველში მიუთითოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობა, თუკი იცის ან აქვს ეჭვი ამ საჭიროების შესახებ

4

ითანამშრომლოს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდთან ბავშვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის მიზნით

დათქმულ დროს უზრუნველყოს ბავშვის შეხვედრა გუნდის წევრთან, მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია ბავშვის შესახებ, გაუზიაროს ბალის და / ან ადრეული განვითარების პროგრამის მიერ მოწოდებული შეფასებები და / ან პორტფოლიო

5

დაამყაროს კომუნიკაცია სკოლასთან

მიმართოს სკოლას, რათა გაიცნოს დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი, გაუზიაროს მათ საყურადღებო ინფორმაცია ბავშვის შესახებ, განიხილოს და მათთან ერთად დაგეგმოს სკოლაში ბავშვის პირველი ვიზიტი დამრიგებლის, თანაკლასელების, სკოლის გარემოს გაცნობის მიზნით.

რა ნაბიჯები უნდა განახორციელოს მშობელმა ბავშვის სკოლაში ჩართვამდე?

6

კოორდინირება გაუწიოს დამრიგებლის საკონსულტაციო
შეხვედრას ბავშვის აღზრდელთან და / ან განვითარების
სპეციალისტთან

სატიროების შემთხვევაში ორგანიზება გაუწიოს ბავშვის აღმზრდელის, მხარდაჭერი სპეციალისტების მასწავლებლების შეხვედრებს გამოცდილების გაზიარების მიზნით (ბავშვის სასკოლო ცხოვრების დასაგეგმად)

7

ჩაერთოს ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში, რომლის გატარებასაც გეგმავს სკოლა ბავშვისთვის

მაგ., დაგეგმოს ბავშვის ვიზიტები სკოლაში სწავლის დაწყებამდე, პირველი სასკოლო დღე და ა.შ.

8

აქტიურად ითანამშრომლოს სკოლასთან ბავშვისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის პროცესში

მონაწილეობა მიიღოს გუნდურ შეხვედრებში, გაუზიაროს გუნდის წევრებს თავისი ხედვები ბავშვის პროგრესსა და პრიორიტეტულ მიზნებზე.

9

რეგულარულად შეხვედეს ბავშვის დამრიგებელს და მხარდამჭერ სპეციალისტებს, მიიღოს ინფორმაცია ბავშვის პროგრესზე, დაამუხტოს ის მხარდაჭერა, რომელიც მიეწოდება მას და ა.შ.



როდის უნდა დაიწყოს მშობელმა ბავშვის სკოლაში ტრანზიციისთვის ზრუნვა?

ბუნებრივია, მშობელი უწყვეტად ზრუნავს ბავშვის უნარების განვითარებაზე. ის ამ გზით ამზადებს ბავშვს არა მხოლოდ განვითარების შემდეგი ეტაპისთვის, არამედ ზრდასრული ცხოვრებისთვის.

სკოლაში ბავშვის ტრანზიციისთვის მიზანმიმართული მზადება რეკომენდებულია დაიწყოს სკოლაში წასვლამდე შეძლებისდაგვარად ადრე (მინიმუმ ერთი წლით ადრე, ვიდრე ბავშვი სკოლაში ჩაირიცხება). ამ დროს მშობელმა აქტიურად უნდა დაიწყოს ზრუნვა ბავშვის ფსიქო-ემოციური მზაობის, ავტონომიურობის და სკოლის შესახებ ადეკვატური წარმოდგენების ფორმირებისთვის და ეს პროცესი უწყვეტად განახორციელოს სკოლის დაწყებამდე.

როდის ითვლება ტრანზიციის პროცესი დასრულებულად?

ტრანზიციის პროცესი არ ითვლება ავტომატურად დასრულებულად სასწავლო წლის დაწყებისთანავე. ეს პროცესი და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით და ის დასრულდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბავშვი შეეგუება ახალ გარემოს, შეიძენს ფსიქო-ემოციურ კომფორტს და გახდება იქ მიმდინარე პროცესების აქტიური თანამონაწილე.



მშობლის მხარდაჭერა ტრანზიციის ინიცირების და განხორციელების პროცესში

მშობელს გადამწყვეტი როლი აკისრია სკოლაში ბავშვის ტრანზიციის პროცესში. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ მას შეუძლია შესაბამისი მხარდაჭერის მიღება იმ დაწესებულებებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, ზრუნავდნენ ბავშვის განვითარებასა და ცხოვრების შემდეგი ეტაპისთვის მის მომზადებაზე. ეს ორგანიზაციებია:

სკოლამდელი განათლება / ბაღი - ტრანზიციის პროცესში ძალიან დიდი როლს ასრულებენ სკოლამდელი განათლების დაწესებულება და აღმზრდელები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ ბავშვის შესახებ. აღმზრდელებს აქვთ ბავშვთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება, იცნობენ მისი კომუნიკაციის, ქცევის თავისებურებებს.

მას შეუძლია ხელი შეუწყოს სკოლაში ბავშვის ტრანზიციას წინააღმდეგობით უნარების და ფსიქო-ემოციური მზაობის ფორმირებით; მას შეუძლია ასევე დაეხმაროს მშობელს სკოლის შერჩევაში, უშუამდგომლოდ მასწავლებელთან შეხვედრისას, გაუზიაროს მასწავლებელს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბავშვის შესახებ და გაუწიოს კონსულტაცია როგორც სკოლის დაწყებამდე, ასევე მის შემდეგ.

ადრეული ინტერვენციის მომსახურება - მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ მას შეუძლია გამოიყენოს ადრეული განვითარების პროგრამის რესურსი (თუ ბავშვი ჩართულია აღნიშნულ მომსახურებაში) ბავშვის სკოლაში ტრანზიციის ინიცირებისას და დასაგეგმად.

აღნიშნულ სერვისში ჩართულ სპეციალისტებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ტრანზიციას ბავშვის ფუნქციური უნარების და ფსიქო-ემოციური მზაობის ფორმირებით, მშობლის მხარდაჭერით სკოლის შერჩევის პროცესში.

მიზანშეწონილია, რომ ადრეული ინტერვენციის სპეციალისტი მონაწილეობდეს სკოლის წარმომადგენლებთან შეხვედრებში, უზიარებდეს მათ ინფორმაციას ბავშვის შესახებ და აწვდიდეს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

სკოლა - მას შემდეგ, რაც ბავშვი კონკრეტულ სკოლაში დარეგისტრირდება, აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულება ხდება ტრანზიციის აქტიური მხარდაჭერი. სკოლა ვალდებული ხდება მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ბავშვის პოზიტიურ გადასვლას სკოლაში. ხელშეწყობაში იგულისხმება შეხვედრების ორგანიზება ბავშვსა და მშობელთან (სწავლის დაწყებამდე), აქტუალური ინფორმაციის ამომწურავად მიწოდება მშობლისთვის, ბავშვის გაცნობა, მის საჭიროებებში გარკვევა, სკოლაში ბავშვის ჩართვის ფრთხილად დაგეგმვა და საჭირო ღონისძიებების პროაქტიურად ინიცირება.

სივრცე ჩანაწერებისთვის

აქ მშობელს შეუძლია ჩაინიშნოს ის აქტივობები, რომელთა განხორციელებაც მას მნიშვნელოვნად მიაჩნია სკოლაში შვილის ტრანზიციის მხარდასაჭერად. მშობელმა შესაძლებელია განსაზღვროს მასთან ერთად მონაწილე პირები და შესრულების ვადები თითოეული აქტივობებისთვის.

ჩამოწერეთ თქვენი შვილის ტრანზიციისთვის საჭირო აქტივობები

რა უნდა გავაკეთო	ვინ შეიძლება დამეხმაროს	როდის დავიწყო და დავასრულო

შენიშვნა:

